წელიწადი მე-2 ტელეფონი № 76. სამშაბათი, 23 აგვისტო

# სამშობლო

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან, ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით 7 კ.** წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ, დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე შემოსულ განცხ დებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ., კნ. მიქელაძის სახლებში.

№ 434 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. № 434

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ორშაბათიდან, 22 აგვისტოდან ნაჩვენები იქნება:

ქვეყნად უნდა სილამაზე მეუფებდეს.

ვერა ხოლოდნაიას მონაწილეობით.

გაჭიანურებული სიყვარული.

სახუმარო ორ ნაწილად საუკეთესო მსახიობთა მონაწ.

---

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

ორშაბათიდან, 22 აგვისტოდან:

იაპონელების მველი ადათი შა—ნო—იუ

ნამდვილიდან.

თანამედროვე მესალინა

სამ ნაწილად საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით.

მშვენიერ თვალებისათვის

სახუმარო.

---

იყიდება

ქ. ქუთაისში, სტეფანე ფეიქაროვის სავაჭროში, ყურძნის საქაჩავი და ყურძნის საწური. ვურჩევთ სოფლის ბანკებს და კოოპერატივებს შეიძინონ გასავრცელებლად სოფლის მეურნეთა შორის ზემოხსენებული საქაჩავი, ვინაიდგან იგი დიდ დახმარებას გაუწევს მათ მუშა ხელის ნაკლებობის გამო. თ.

---

ქ. ქუთაისში, გაღმა უბანში, ბაღის და პოდგორნი ქუჩებში

იყიდება ორსართულიანი სახლი 18 ოთახით და დაბლა ექვსი დუქნით.

პირობების გაგება შეიძლება ქ. ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩაზე ივანე კარტოზიასთან.
277 12—9

---

განცხადება.

ქუთაისის საამხანაგო ქართულ გიმნაზიაში

თავისუფალი ვაკანსიები არის მხოლოდ მოსამზადებელი კლასის პირველსა და მეორე განყოფილებაში.

მისაღები ეგზამენები 22 აგვისტოს დაიწყება, ხოლო ხელმეორე ეგზამენები 28-ს. სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.
285 12—8.

---

ექიმი გაბრიელ იოსების ძე გოკიელი დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.
ჩ-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

---

ექიმი ი. ჩარექიშვილი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების მიღება დილით $12^1/_2$—2 საათ. საღ. 6—8 საათ. მიიღებს მხოლოდ კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს.

მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

---

დოქტორი მედიცინისა

პრივატდოცენტი

ვ. პ. მოსეშვილი

მიიღებს შინაგანი და ნერვების ავადმყოფობით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 საათამდი და საღამოს 6 ს.—8 საათ.

2 გოსპიტლის ქუჩა № 6 თ.

---

განცხადება.

ქ. ქუთაისში, პადიეზდნი ქუჩაზე ქორქოლაძის სახლში, მაქვს ბაკალეინის სავაჭრო პატენტით და ყოველივე მორთულობით. მსურველს გადავცემ იმ პირობით, რა პირობითაც თვითონ ნებავს, მლიერ ხელსაყრელ ფასებში. მიზეზი გაყიდვისა—ჩემი ჯარში გაწვევაა

5 2-292 პატივისცემით ილია ქორქოლაძე.

---

ბებია მ. მ. კოხრეიძე ურის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

---

24 აგვისტოს, შუადღის 12 საათზე, ქალაქ ქუთაისში, საარტილერიო მოედანზე მოხდება

საჯარო ვაჭრობა

დაწუნებული ცხენებისა და კვიცების.
293 4—2

# მსოფლიო ომი.

## დეპეშები

### უმაღლესი მთავარსარდლის შტაბი საგან.

#### დასავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 20 აგვისტო. მდ. სტოხოდზე სოფ. ტობოლოს სამხრეთ დასავლეთით მტერმა შემოტევა იწყო, მაგრამ ჩვენმა ქვეითა ჯარმა სროლით მოიგერია. ვლადიმერ-ვოლინის მიმართულებით შელგოვთან ოჩი ორიტნიცისკენ მედგარი ბრძოლები გრძელდება. ზოლოჩევის და გოლიჩის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა ბრძოლით წინ წაიწია, რამდენიმე პოზიცია აიღო და მტერს დასავლეთით დაახევინა. მოწინაამდეგე მედგრად თავს იცავს და კონტრ იერიშები მოაქვს, მაგრამ ყველას ვიგერიებთ. კორესმენის მიმართულებით ვორინენსკის სამხრეთით რამდენიმე სიმაღლე დავიპყრეთ.

#### კავკასიის ასპარეზი.

ოსმალებს წინსვლა გუმუშხანის დასავლეთით სროლით და ხიშტებით შევაჩერეთ. მოწინააღმდეგე დიდად დაზარალდა და უკან დაიხია. კიალტიტ-ჩივტლიკის დასავლეთით ჩვენ დავატყვევეთ 8 ოსმალო აფიცერი და 205 ასკერი. ჩორმუნაბილთან ოსმალების იერიში უსარგებლო გამოდგა მათთვის და უკან დახევისას რამოდენიმე ასი მოკლული დასტოვეს ჩვენ თხრილებთან მოსულის მიმართულებით საკკიზზის არემარეში ჩვენ ოსმალებს ვდევნით.

**პეტროგრადი** 21 აგვისტო. ქ. რიგის მიდამოებში გერმანელებმა ლატიშთა ბატალიონებზე იერიში მოიტანეს, უკანასკნელებმა კონტრიერიში მიიტანეს, უკუ აქციეს მტერი და საგრძნობლად დააზარალეს. ზოლოჩევის და გალიჩის მიმართულებით ბრძოლები გრძელდება. ამ ბრძოლებში მოკლულ იქმნა მამაცი პოლკოვნიკი გიდესონი და მოწინავე სანგრებში მძიმედ დაიჭრა ბატარეის უფროსი—პოდ,ოლკოვნიკი ჩესნოკოვი. რაფაილოვის სამხრეთით მთა კაპულის მიდამოებში და აგრეთვე დორავატრას მიდამოებში ჩვენმა ჯარმა მტერი გამაგრებულ პოზიციებიდან განდევნა და რამდენიმე სიმაღლე დაიპყრო. მტერმა დაკარგულ პოზიციების დასაბრუნებლად იერიშები მოიტანა, მაგრამ ყველა იერიში მოიგერიეთ და ამასთანავე დავატყვევეთ 300 კაცი.

#### კავკასიის ასპარეზი.

ოგნოტის მიდამოებში მკაცი ბრძოლები გრძელდება. მტერი ჩვენ ძალდატანებით ალაგ ალაგ გარბის. სჩერმუკთან ოსმალთა იერიშები სროლით მოვიგერიეთ ამ ბრძოლაში ერთი ზარბაზანი ვიგდეთ ხელთ.

**რომი.** 20 აგვისტო. იტალიის მთავარ სამხედრო ბინის ცნობა მონტეჩიმონის მთებში ჩვენმა მზვერავებმა მტრის ძლიერი რაზმი აღმოაჩინა და საჩქაროდ გაფანტა. რუმინიის ველზე ბრძოლის დროს მტერმა 35 მოკლული მიატოვა. გორიცას ხაზზე გაცხარებული ბრძოლაა იტალიამ ალბანეთში მოქმედება დაიწყო.

**სოლუნი.** 19 აგვისტო სოლუნის რევოლიუციონურ მოქმედებას ზოგიერთ სამხედრო წრეებში მტრულად შეხვდნენ. ქალაქში და ყარაბურანში მდგომ ქვეითა ჯარის რამდენიმე ასეული პოდპოლკოვნიკ ტრიკუპისის მეთაურობით რევოლიუციონერებს არ შეუერთდა მეამბოხეთა მეთაუროეა პოლკოვნიკმა ზიმბრაკისმ უბრძანა ალყა შემოერტყათ იმ ყაზარმებისთვს, რომლებშიაც ტრიკუპისის მომხრეები იყვნენ, რათა ისინი უპუროდ და უწყლოდ დასტოვონ. 18 აგვისტოს დილის სამ საათზე დატყვევებულმა ჯარმა გარედ გაღწევა სცადა საკვების მოსაპოვებლად, მაგრამ ჟანდარმებმა სროლა აუტეხეს. ორი მოკლეს, რამდენიმე დაჭრეს და უკუ აქციეს. ამს შემდეგ ტრიკუპისი დანებდა; რევოლიუციონერებმა ყაზარმები დაიჭირეს, ჯარს იარაღი აჰყარეს და თავის ბანაკში გაგზავნეს

**პარიზი.** 20 აგვისტო. საღამოის ოფიციალური. გარდა საკმაოდ დაჟინებულ საარტილერიო ბრძოლისა სომმის ჩრდილოეთით, მთელ ასპარეზზე თვალსაჩინო რა მომხდარა რა.

**ჰავრი.** 20 აგვისტო. ბელგიის ცნობა. ბელგიის ასპარეზზე მდგომარეობა უცვლელია.

**ლონდონი.** 21 აგვისტო. ბრიტანიის მთავარი ბინის ცნობა საფრანგეთიდან. მდ. ანკრასა და სომმას შუა ქვეითა ჯარი ხელის ყუმბარებით იბრძოდა. ორივე მხარემ ნაღმები ააფეთქა.

**ლონდონი.** 21 აგვისტო ოფიციალური ცნობა: დიდი ბრიტანეთის აღმოსავლეთ სანაპიროებზე ღამის თერთმეტ საათზე გერმანელთა რამდენიმე დირიჟაბლმა იერიში მიიტანა და ყუმბარები ჩამოყარა. ზოგიერთ ალაგას თავდასხმა გრძელდება.

**ლონდონი.** 21 აგვისტო. ოფიციალური ცნობა მაკედონიის ასპარეზზიდან ბრიტანიის ჯარის ბრძოლის ხაზზე მდგომარეობა უცვლელია.

**ლონდონი.** 21 აგვისტო. ცნობა ეგვიპტის ასპარეზიდან. მოწინააღმდეგის ჰაეროპლანებმა 19 აგვისტოს პორტსაიდს ყუმბარები დაუშინეს. სულ ჩამოყარეს 25 ყუმბარა. დაშავდა რამდენიმე კაცი. ზარალი არა ყოფილა.

**პარიზი** 20 აგვისტო. შუადღის ოფიცილური ცნობა. მდ. სომმის ასპარეზზე საგძნობლად ძლიერი საარტილერიო სროლა იყო, ნამეტნავად მორეპის ნაწილში და იქვე მდინარის სამხრეთით. გერმანელებმა განმეორებითი იერიშების წყალობით კვლავ დაიბრუნეს ის სანგრები, რომელნიც ფრანგებმა ესტრესთან 18 აგვისტოს დაიპყრეს. გერმანელები აქ დიდად დაზარალდნენ.

შამპანში ობრის დასავლეთით და ტაგიურის სამხრეთით გერმანელთა მზვერავი რაზმი ფრანგებმა ყუმბარების სროლით განდევნეს. გერმანელთა ერთმა რაზმმა მკაცრი ბრძოლის შემდეგ, დაინახეს რა რუსი მოდარაჯენი, უკან გაიქცნენ. მდ. მაასის მარჯვენა ნაპირზე მთელ ღამეს გერმანელები მოუსვენრად იყვნენ: ტეემონთან ფრანგთა პოზიციებს უშენდნენ და უმიზეზოთ ძლიერი სროლა ასტეხეს გერმანელების იერიში ფლერის წინააღმდეგ მოგერიებულ იქნა. პონტამუსონის დასავლეთით ძლიერი საარტილერიო მომზადების შემდეგ გერმანელები სანგრებიდან ამოსვლას ეცადნენ, მაგრამ შეჩერებულ იქნენ. ფუნგესთან სანგრებიდან გერმანელებმა წინ გაიწიეს, მაგრამ ფრანგებმა ისინი სროლით შეაჩერეს. რენევილის დასავლეთით გერმანელთა ერთ რაზმს უნდოდა ესარგებლა ნაღმის აფეთქებით და ფრანგების სანგრებს დაახლოვებოდა, მაგრამ ფრანგებმა ადვილად უკუაქციეს. დანარჩენ ასპარეზზე ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა.

**ბუქარესტი.** 20 აგვისტო. ოფიციალური ცნობა. დილის 7 საათი. ჩრდილოეთის და ჩრდილო დასავლეთის ასპარეზზე რუმინელთა წინსვლა გრძელდება; მათ დაიპყრეს ოროტ-ორშოვიდან ორ კილომეტრზე აღმოსავლეთით მდებარე ალიონის მთა და ორშოვიდან 4 კილომეტრზე ჩრდილოეთით მდებარე დრანიცა; აქ მათ დაატყვევეს 9 აფიცერი და 645 ჯარის კაცი. ალუტის ველზე მიმავალი რკინისგზა შიკსერედეს სამხრეთით გადასჭრეს; ამას გარდა რუმინელებმა დაიპყრეს ბრაშევი, საცა მათ ხელში ჩაუვარდათ სხვა და სხვა საგძალი. სამხრეთ ასპარეზზე სილისტრიის სამხრეთით მდ. დუნაისა და რახმანიშიკლარის შუა მოწინააღმდეგემ რუმინელთა სადარაჯოებზე იერიში მიიტანა, მაგრამ რუმინელებმა მოიგერიეს.

**სტოკჰოლმი.** 19 აგვისტო. დანიის ელჩს განუცხადებია, გერმანია-იტალიის ომში დანია სასტიკ ნეიტრალიტეტს დაიცავსო.

**პარიზი.** 21 აგვისტო. ცნობა მაკედონის ასპარეზზე მოქმედების შესახებ. მდ. სტრუმის ასპარეზზე და დოირანის ტბის მიდამოებში ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა.

მდ. სტრუმის მარცხენა ნაპირზე მოკავშირეთა მზვერავები მარჯვედ მოქმედებდნენ. სბორკთან ბულგარელებმა იერიში მიიტანეს; სერბიელებმა იერიში სროლით მოიგერიეს და ბულგარელები დიდად დაზარალეს. ოსტროვის მიდამოებში საყურადღებო არა მომხდარა რა.

**პარიზი.** 21 აგვისტო. შუადღის ოფიციალური ცნობა. მდ. სომმის ასპარეზზე ღამის განმავლობაში ფრანგთა არტილერია მოქმედებდა. ქვეითა ჯარის ბრძოლები არა ყოფილა; მხოლოდ არმანკურთან ერთი იერიში მიიტანეს გერმანელებმა. ფრანგებმა ტყვეები იგდეს ხელთ. მაასის მარჯვენა ნაპირზე ტიომონ-ფლერი-ვოშაპიტრს შუა მდებარე ფრანგთა პოზიციებს გერმანელები მკაცრად უშენენ ზარბაზნებს. დანარჩენ ასპარეზზე ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა. მფრინავთა მოქმედება. დეპპის ახლოს ფრანგთა მფრინავმა გერმანული ჰაეროპლანი ჩამოაგდო. მდ. სომმაზე 4 სხვა დაზიანებული ჰაეროპლანი დაეშვა თავის ხაზებზე. ფრანგთა საჰაერო რაზმები ენერგიულად მოქმედებდნენ. სად. მეტცასაბლონზე ჩამოუყრიათ 37 ყუმბარა 120 ყალიბრიხანი მეტცის ჩრდილოეთით მყოფ სამხედრო დაწესებულებებში 60 ყუმბარა ჩამოაგდეს.

---

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

რუმინიის ნაციონალური პრესა ავსტრიის შესახებ სწერს: ამ ომში ავსტრიამ სრული უძლურება გამოიჩინა იგი დღემდის წახდებოდა, რომ გერმანიას არ დაეფარა.

——

პოლონეთის საკითხს რუმინიაში ალმაცერად უყურებენ და ამბობენ, ჯერ კიდევ შორსაა პოლონეთის საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტის დრო.

——

„რუსკ ვედ“. ცნობით რუმინიის ჯარს

# ომის დღიური.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.** რიგის ახლოს ლატიშთა ბატალიონებს ბრძოლა მოუხდათ გერმანელებთან. მდ. სტოხოდზე გერმანელთა შემოტევა შეჩერებულიქნა. ვლადიმერ—ვოლინის მიმართულებით გერმანელებმა შემოტევა განაახლეს და მკაცრი ბრძოლები გრძელდება. ვოლოჩივისა და გალიჩის მიმართულებით რუსებმა წინ წაიწიეს, მკაცრი ბრძოლები ამ მიმართულებით კვლავ გრძელდება რუსებს აქ მოუკლეს ერთი პოდპოლკოვნიკი და დაუჭრეს ერთი პოლკოვნიკი. ავსტრიელებს ამ მიდამოებში ძლიერი კონტრიერიშები მოაქვთ. კრასმენის მიმართულებით რუსებმა წინ წაიწიეს და რამდენიმე პოზიცია ხელთ იგდეს რუსებმა დაატყვევეს 500 კაცი.

**კავკასიის ასპარეზი.** ოგნოტნათ მკაცრი ბრძოლები. გრძელდება სჩესმუკთან რუსებმა ოსმალთა იერიში მოიგერიეს და მტერი დააზარალეს ოსმალთა წინსვლა გიუმ—ხანის დასავლეთით შეაჩერეს და საკკიზთან მათ ავიწროვებენ.

**დასავლეთის ასპარეზი.** ასპარეზის ჩრდილოეთ ნაწილში საარტილერიო ბრძოლაა. მაასის მარჯვენა ნაპირზე გერმანელები ტიომონ ფლერი-გოშაარტის ფრანგთა პოზიციებს მკაცრად უშენენ. ფრანგი მფრინავები ენერგიულად მოქმედებდნენ: გერმანელთა ჰაეროპლანები ჩამოაგდეს და მოწინაამდეგის რამდენიმე ქალაქს თავს დაეცნენ.

**იტალიის ასპარეზზე.** წვრილ-წვრილი ბრძოლები სწარმოებს.

**მაკედონიის ასპარეზზე.** სერბიელებმა ბულგარელთა იერიში მოიგერიეს და ბულგარელები დიდად დააზარალეს.

**რუმინიის ასპარეზი.** რუმინელებმა რამდენიმე მთა დაიპყრეს, აიღეს, ქალაქი ბრაშევი და ალუტის რკინი გზა გადასჭრეს. მდ. დუნაიზე ბულგარელთა იერიში მოიგერიეს.

ქ. ორშოვი დაუკავებია

——

ბულგარეთის ელჩს ბუქარესტში განუცხადებია „1913 წ. რუმინია ბულგარეთთან თეთრ ომს აწარმოებდა, მხოლოდ დღეს კი წითელი ომი უნდა აწარმოვოსო".

——

„უტრო როს". ცნობით საბერძნეთის ავტორიტეტიულ პირებს გადაუწყვეტიათ ჯერ ჯერობით დაიცვან შეთანხმების სახელმწიფოთა სასარგებლო ნეიტრალიტეტი და შემდეგ, თუ ბრძოლის ველზე მოხდა რომელიმე თვალ საჩინო ცვლილება, მათ მხარეზე გამოვიდესო.

——

სალონიკში ფრანგი ექიმები მივიდენ.

——

რომში მინისტრთა თათბირზე ბასსონინომ განაცხადა, რომ იტალია ოსმალეთის დანაწილების შესახებ ინგლის-რუსეთ-საფრანგეთის აზრს იზიარებსო.

——

ფელდმარშალი ჰინდენბურგი გარდა სამხედრო საველე შტაბის უფროსობისა დანიშნულია გერმანიის მთელ სამხედრო ძალის ღენარალისიმუსად. მას ახალი სამოქმედო გეგმაც შეუდგენია, რომელსაც განცვიფრებაში მოჰყავს ცნობილი მაიორი მორატი. „ბერლინერ ტაგებლატი"-ს სიტყვით ეს გეგმა შეუძლებელს შესაძლოდ ხდის".

ჰინდენდენბურგის დანიშვნას პარიზში დიდ მნიშვნელობას აკუთვნებენ და ამბობენ, რომ მისი დანიშვნით გერმანიას ჰსურს საჩქაროდ გამოაბრუნოს საქმეები და კვლავ გამარჯვებულის სამოსელში გამოვიდეს.

——

გრ. ტისას უთქვამს: ომში ჩაურევლად რუმინია მიიღებდა სემედრიას და ბესარაბიას, მხოლოდ დღეს კი ერთად ერთ დამხობას მიიღებსო.

——

რუსეთის სამხედრო მინისტრს ღენერალ შუვაევს რუმინიის გამოსვლას გამოუთქვამს: რუმინიის გამოსვლა უსათუოდ დიდ ძალას შეგვმატებს, მაგრამ ჯერ მაინც შორს არის მსოფლიო კატასტროფის ბოლო და კვლავ საჭიროა საზამთრო კომპანიისთვის მზადებაო.

——

„რუს. ვედ" აღნიშნავს, სამხრეთ მომქმედ ჯარში ქალაქთა კავშირმა თავის რწმუნებულად დანიშნა ვინმე მალინსკისა, რომელიც პირველია.

——

ბულგარეთის ჯარს კავალთან კვლავ გაუმარჯვია და ქალაქ ეფლერტიონი დაუკავებია.

——

ხვოსტოვის ბინაზე მოხდა თათბირი, სადაც განიხილეს რუსეთში არსებულ ეროვნების განზრახული რეფორმა

——

რუსეთის სამხედრო ავტორიტეტები ამტკიცებენ, რომ ბალკანეთზე გერმანიას დიდძალ ჯარის დაბანდება დასჭირდებაო

——

გალიციაში ყველა სტრატეგიული ადგილების დაცვა ოსმალურ პოლკებს აქვს მინდობილი.

——

„რუსკ. ინვალიდი" სწერს: რაფაილის მიდამოებში გენ. ლეჩიცკის ჯარი მტერს ორი მხრიდან უვლისო.

——

როსტოვის გრადონაჩალნიკი გენერალი კომისაროვი სამსახურიდან გააძევეს და მის წარსულ მოქმედებისთვის რევიზია დანიშნეს.

——

ხარკოვში არსდება გზათა მიმოსვლის საინჟინერო ინსტიტუტი.

——

კავკასიის ასპარეზზე გიუმიშხანის ხაზით ოსმალებს დიდძალი ახალი ჯარი ჰყოლიათ, სხვათა შორის აქ გამოუყვანიათ კორპუსები ანგორისა და ალექსანდრიტისა. გიუმიშხანის ხაზით მომქმედ ოსმალთა ჯარს შეტევის წარმოება ჰქონია ნაბრძანები.

——

ამერიკის რესპუბლიკაში თანდათან იზრდება იაპონიისადმი უკმაყოფილება.

——

ჩინეთის რევოლიუციის ჯარი ღელავს და დროს უცდის, რომ იაპონიაზე ჯავრი იყაროს.

——

ენვერ ფაშა კავკასიის ფრონტისკენ წამოსულა.

——

ამ ერთი თვის წინად ოსმალეთში მოვიდა 60 ობერ ოფიცერი. ეს ოფიცრები ყველა კავკასიის ფრონტზე გამოუსტუმრებიათ, მხოლოთ აქ მყოფი ოსმალო ოფიცრები გალიციაში გადაუგზავნიათ.

——

„ბირჟ. ვედმოსტის" გადმოცემით, ოსმალები გალიციაში საუკეთესოდ იბრძვიან და დაფრთხალ ავსტრიის ჯარს ზურგს უმაგრებენო.

——

ბალკანეთზე ფორტ რუპპელთან მოხდა ოსმალ-ფრანგთა ჯარების ძლიერი შეტაკება. დანაკლისი ორივ მხარეს დიდია ოსმალნი წინ მიდიან.

——

უმაღლესმა მთავრობამ ნება დართო, რომ საზოგადო ორგანიზაციებს შეუკვეთონ სხვადასხვა ომისთვის საჭირო საგნები. მთავრობის მხრივ საზოგადო ორგანიზაციებში დანიშნული იქნება განსაკუთრებული პირები.

ავსტრიამ და გერმანიამ საბოლოოდ დაადგინეს რუსეთის მფლობელობის ქვეშ ყოფილ პოლონეთის ცალკე სამეფოდ გამოყოფა, რომლის მეფეთაც უკვე არჩეულია ბავარიის პრინცი ლეოპოლდი.

ხერსონის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა სუხომლინოვმა სამართალში მისცა მოხელე სუასენიკი, რომელმაც ხერსონის თავად-აზნაურობას გერმანოფილობა დასწამა.

რიგა-დვინის ასპარეზზე მეტად ცუდი ამინდებია, რაც ბრძოლის მსვლელობას ხელს უშლის.

## ჩემი წინადადება.

როგორც გაზ. „საქართველოს" გაუგია, ჰიათურის სალიკვიდაციო მამულების მყიდველად ერთი ცნობილი ქართველი მრეწველი და ინჟინერი გამოდის, რომლის გარეშემოც საკმაო თანხის მქონებელი და სანდო პირები შეკრებილან იმავე დროს ჰიათურის ქართველ მრეწველებსაც განუზრახავსთ ქართული სამთამადნო ამხანაგობის დაარსება.

ძალიან ერთობაშია და, ჩემი ფიქრით, საჭიროა ქართველობა ამ საქმეში მაინც არ გაიყოს შუა და არ განაწილდეს, არამედ, პირიქით, ერთ ორგანიზაციად შეიკრიბოს.

ჰიათურის რაიონში კიდევ იქნება რამდენიმე ასი დესეტინა „შავიქვის" მადანი და, თუ ის ამხანაგობა, რომელიც ხსენებული ინჟინრის გარშემო შეკრებილა, ჰიათურის ქართულ ამხანაგობას შეუკავშირდება, ადვილად შესძლებენ, ის მემადნეებიც შეიერთონ, რომელთაც ჯერ მამულები არ გაუყიდნიათ, და ერთი ასეთი საფუძვლიანი და მტკიცე ქართული ამხანაგობა შექმნან, რომელსაც სხვათა შორის სალიკვიდაციო მამულების შეძენის საქმეშიაც მეტი წონა ექნება

ამ საქმის მოგვარება კი თვით ინჟინრის გარშემო შეკრებილმა ამხანაგობამ უნდა ითაოს.

მაგრამ დაყოვნებისა და დაგვიანების დრო აღარ არის და საქმეს, რაც შეიძლება, მალე უნდა მიშველება.

ვასილ წერეთელი.

## ომის მიმოხილვა.

**ბალკანეთზე.**

მსოფლიო ომში ბალკანეთის ბრძოლის ასპარეზი თანდათან [illegible] და პირველ ხარისხოვანი მნიშვნელობა ეძლევა მას.

შეიძლება, რომ მსოფლიო ომის ბოლო მუდამ საქიშპო კუნძულ ბალკანეთზე გადასწყდეს.

ბალკანეთის ნახევარი კუნძული ომის დამწყებ დიდ სახელმწიფოთათვის წარმოადგენს ერთგვარ დაპყრობილ მინდორს სადაც სადავოთ თავი მოუყრია ყველა მათგანს.

მართლაც დღეს ბალკანეთზე ყველა მებრძოლ სახელმწიფოს წარმომადგენელ ბრძვის

აქ არიან ინგლისელები, ფრანგები, ავსტრიელები, გერმანელები ახლად მოსულ რუს იტალიელები და ბოლოს თვით პატარა ერები ბალკანეთისა.

ბალკანეთის დღევანდელ მდგომარეობის მიხედვით ბევრ გვარი მოსაზრება გამოიტანება. სხვათა შორის შეიძლება ითქვას, რომ ძლიერმა სახელმწიფოებმა განგებ წაუკიდეს ბალკანეთს ცეცხლი, რომ მსოფლიო ქარცეცხლის სისაშინელე აქ პატარა ერების ზურგზე დაამთავრონ

მაგრამ ეს ზოგადი მოსაზრებაა და საჭიროა არსებულ მდგომარეობის აღნიშვნას უფრო რეალურად მიექცეს ყურადღება.

მას შემდეგ, რაც ოსმალეთ ბულგარეთი ბრძოლის ველზე გამოვიდა და სერბია გაისრისა, ბალკანეთის ნახევარმა კუნძულმა სწორედ ქაოტიური სახე მიიღო. სერბიის საშველად მოსული ინგლისის საფრანგეთის საექსპედიციო ჯარები სალონიკში დაბანაკდა და იქ უმოქმედოთ გაიყინა. მეორე მხრით ავსტრო გერმანელთა ლაშქარმა გადალახა სერბია, სტამბოლ ბერლინი შეაერთა და გაჩერდა.

ბულგარეთის ჯარმა ჩამოართვა სერბიას 913 წ. წართმეული ადგილები და დაკმაყოფილდა... საბერძნეთ-რუმინია კი დაადგა გამოურკვეველ ომის და ორჭოფობის გზას. ამავე დროს მოხდა დარდანელის ლიკვიდაცია.

ამ ამბების შემდეგ ბალკანეთის ფრონტი გაიყინა. მაგრამ შემდეგ მოკავშირეებმა მოუხშირეს სალონიკში ჯარების გადასხმა, რამაც გამოიწვია ბალკანეთის ფრონტის გამოცოცხლება.

მაგალითად გასულ წელს ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე შეთანხმების სახელმწიფოთ 7 00,000-მდე კაცი ჰყავდათ რო-

## დაფნისი და ქლოია.

**ანტიური მოთხრობა ლონგუსის.**

ლესბოსის კუნძულზე ნადირობის დროს, ფერიათა ჭალაში, ერთხელ ისეთი მშვენიერება რამ ვიხილე, როგორიც ძილშიც არ დამსიზმრებია მთელ ჩემს სიცოცხლე: ხელოვნების ნაწარმოები, სიყვარულის ისტორია. თავისთავად ლამაზი რამ იყო ჭალაკი. აყრილი მწვანეთ აფოთლილი ხეები, ათასფერი ყვავილნი მოჩუხჩუხე ანკარანი ბალახებში მიჩქმალული წყარო ასაზრდოვებდა და ასულდგმულებდა ყვავილთა და მცენარეთ. მაგრამ ხელოვნების უცხო ნაწარმოებს-სიყვარულის სურათს-არა შეედრებოდა რა მრავალნი მოივლტოდნენ უცხო ქვეყნებიდგან, რათა თაყვანი ეცათ ფერიათათვის და მოხიბლულ-დამტკბარიყვნენ სურათის სილამაზით. მხატვრის გრძნეულ ხელსჯალებეჭდა სურათზე მშობიარე ბანოვანი მეორენი არტახებში ანანავებდნენ ჩვილ ყრმათ, ცხვარნი აწოვებდნენ ძუძუს ღვთის ანაბარად მიტოვებულ ბავშვთ და მწყემსნი მზრუნველობდნენ და მფარველობდნენ მათ. ცალ მხარეს სიყვარულით დამთვრალი ჭაბუკ-ასულნი ამშვენებდნენ სურათს, მეორე მხარეს კი მეკობრენი და ავაზაკნი იყვნენ დახატული.

ამათ და კვლავ სხვა სასიყვარულო სურათთ ისე იმოქმედეს ჩემს გონებაზე, ისე აღაფრთოვანეს და სიხარულით აღავსეს ჩემი სული და გული, რომ მოთხრობის წერის სადღრღელი ამიშალეს. ვთხოვე დაწვრილებით ეამბნათ სურათის შინაარსი და შემდეგ ეს ოთხი წიგნი შევთხზე, რომელთაც, ვით ძღვენს, მსხვერპლად შევწირე სიყვარულის ღმერთს, ფერიათ და ჰოლაკ ტყეთა ღმერთპანს. მასთან ვისურვებდი, რომ ეს ნაწარმოები ყოფილიყოს თითოეული ადამიანისთვის მშვენიერებისა და სილამაზის აღსავსე საჭურჭლე: სნეულნი განკურნოს, მწუხარე ბოროტნი დაავაზაკნი დაამშვიდოს, შეყვარებულმა წარსული მოიგონოს და, ვინც მოკლებულია ამ წმინდა გრძნობას, შეითვისოს და იგემოს მისი საიდუმლოებანი. რადგან არავინ ასცდენია სიყვარულის ქსელს და ვერც მომავალში ასცდებიან, ვიდრე არსებობს ამ ქვეყნად სილამაზე და მისი მხილველი თვალნი. სიყვარულის ღმერთს კი აი რას შევთხოვდე: იმდენი ნების ძალა მოენიჭებინოს უცხოთა ნეტარებით აღსავსე ვნებათა აღწერის წამს, მისი გავლენის გარეშე დავრჩე თავისუფალი და გონიერი.

### წ იგნი პირველი.

1. ვებერთელა და ლამაზი ქალაქია მიტილენი კუნძულ ლესბოსზე. უთვალავი არხებითაა დაყოფილი, რომელშიც ზღვის წყალი მორაკრაკებს; არხებს თეთრი თლილი ქვის ხიდები ამშვენებენ. ქალაქისა მას არა სცხია-რა და უფრო კუნძულსა ჰგავს. მიტილენიდან ორასი სტადიის მოშორებით მდიდარი მემამულე სცხოვრობდა. მშვენიერი და ლამაზი მთაგრეხილიანი ადგილები ჰქონდა აუარებელი ნადირით სავსე, სახნავ-სათესი მიწები, ვაზით აფერადებული ზვარ-ვენახი, საძოვარი ადგილები; ზღვა ელამუნებოდა სანაპიროებს და ბრინჯივით დარჩეულ სილაზე ქაფ-ქაფა ზვირთნი დათამაშობდნენ.

2. თხის მწყემსმა—ლამონმა—ერთხელ ჩვილი ყრმა იპოვნა, რომელსაც თხა აწოვებდა ძუძუს. აი როგორ მოხდა ეს ამბავი: უსურვაზით შემოგრაგნილ კუნელქვეშ პაწია ჩრდილში მწვანეთ ბიბინებდა აჩრილი ბალახი, რომელზეც ჩვილი ყრმა იწვა. ხშირად მორბოდა აქ თხა; წამ და უწუმ მიატოვებდა თიკანს, რომ ბავშვი ენახულა. ლამონმა შეამჩნია ეს გარემოება და ძლიერ ეცოდებოდა. ლამონი დაედევნა ერთხელ თხას, უთვალთვალა შორიდან და შეხედა, რომ ფრთხილად მიუახლოვდა მწვანეზე მწოლიარე ბავშვს, თხა, რომ არა ევნო-რა, მზრუნველობით მიუახლოვა ბავშის პირს ცური და ბავშვმაც, თითქო მშობელი დედის ძუძუაო, ხარბად დაუწყო წოვნა. განცვიფრებული მწყემსიც მივიდა მათთან და ნახა მამრობითი სქესის ლამაზი და თეთრ-წითლად ღაჟღაჟა ბავშვი, მისი მდგომარეობისთვის შეუფერებელ, ძვირფას ქსოვილის არტახებში გახვეული. ძოწეულის არტახი ოქროს ღილით იბნეოდა. იქვე, მის გვერდით სპილოს ძვლის ტარიანი პაწია დანა იდვა.

3. პირველად მხოლოდ სამახსოვრო ნიშნების წაღება იფიქრა და ბავშვს კი იქვე სტოვებდა, მაგრამ შემდეგ შერცხვა თავისივე თავის, რომ პირუტყვმა—თხამ—მეტი სიბრალული და მზრუნველობა გამოიჩინა ბავშვისადმი ვიდრე ადამიანმა, გონიერმა არსებამ: საღამო ჟამს ბავშვთან ერთად მისი ნივთებიც წაიღო და თხაც კი აახლა მის პატივცემულ მეუღლეს, მირტალეს. განცვიფრებულმა მირტალამ ჰკითხა ქმარს: „თხებმა ხომ არ იწყეს ადამიანთ შობაო?" ლომონმა დაწვრილებით აუხსნა მას, თუ როგორ იპარებოდა თხა და აწოვებდა ძუძუს აბრალო ბავშვს. ცოლმა გაამართლა და მოუწონა ქმარს მისი საქციელი. სამახსოვრო ნიშნები შეინახეს და ყველას არწმუნებდნენ, რომ ბავშვი მათი შვილია; მაწოვებლად ისევ თხა მიუჩინეს. სახელიც რომ გლეხური და მისი შესაფერი ყოფილიყო დაფნისი.

4. ოთხი წლის შემდეგ ლამონის მეზობელ მეცხვრესაც იგივე დაემართა ფერიათა-ღმი მიძღვნილი გამოქვაბული იყო ახლოს-ვებერთელა კლდე გარედან თაღივით გამოეკრათ, შიგნით არავინ სცხოვრობდა. შიგ კლდეში ფერიათა ფეხშიშველი ქანდაკებანი ამღეკრათ, მხრებამდე შიშველ მკლავებზე ხშირი გადაყრილი თმით, ღიმილით სახე გაბრწყინებულნი და სხიარულნი, თითქო საცეკვაოდ ემზადებიანო. შუაზე გამოჭრილ პაწია შესავალში პაწია რუთ მომდინარეობდა და მიიკლაკნებოდა ანკარა წყარო, რომელიც იქვე კლდის გვერდებზე მოჟონავდა ცრემლივით გამოქვაბულის მიდამოები მწვანედ ღაღანებდა. შესავალთან ბევრი ეკიდა ხის ჯამები რძის სასმელად, ღმერთ პანისთვის მწყემსთაგან ძღვნად შეწირული ლერწმის სალამურ-სტვირები.

5. ხშირად მოირბენდა ერთი ცხვარი ამ ფერიათ გამოქვაბულში, რომ მეცხვარემ ერთხელ ძალაუნებურად გაიფიქრა უთუოდ გზა აებნა და აღარ დაბრუნდებაო. ცხვრის დასჯა მოისურვა, რომ გადაჩვეულიყო ამ ახირებულ ზნეს, მოსჭრა ტირიფის ნორჩი ყლორტი, მარყუჟად დაგრიხა და გამოქვაბულისაკენ გაეშურა, რომ დაეჭირა თავგასული ცხვარი და დაესაჯა მაგრამ გამოქვაბულში მოულოდნელი რამ სურათი იხილა: დედობრივი მზრუნველობით აწოვებდა ცხვარი რძით სავსე ძუძუს. ჩვილ ბავშვს ბავშვი კი ისე ხარბად და მხიარულად სწოვდა ხან ერთ და ხან მეორე ძუძუს თავის სპეტაკი და აწითლებული ტუჩებით, რადგან, ძუძუს მოშორებისას მშობლიური მზრუნველობით ულოკდა და სწმენდა სახეს თავის ენით. ბავშვი მდედრობითი სქესის იყო გვერდით ნიშნები ეწყო: ოქროს თმის ბადე და ოქრო მკერდით ნაქარგი ფეხსაცმელები

6. დარწმუნდა, რომ სასწაულებრივი რამ უნდა რეულიყო ამ საქმეში, ბავშვი ხელში აიყვანა დრიასმა, ნიშნები ჩანთაში ჩაიწყო, ლოცვით მიმართა ფერიათ და სამაგიერო ბედნიერებას გამოსთხოვდა, რომ მართს ახლადშობილ ასულზე ის იზრუნებდა მომავალში ცხვარი ფარეხში შერეკა საღამოს, თვითონ სახლში დაბრუნდა უანბო ცოლს ყველაფერი დაწვრილებით დავით მოვლა პატრონობა ურჩია საკუთარი ასულის; დაარიგა, რომ საიდუმლო არავისთვის გაემჟღავნებინა. დრიასის მეუღლა-ნაპე-ღვიძლ დედად მოევლინა ბავშვს იმ დღიდან: შეუყვარდა და ანებივრებდა, თითქოს თვისი მზრუნველობით ცხვრისთვის უნდა გადაეჭარბებინა და საიდუმლოს დაფარვის მიზნით სახელიც გლეხური დაარქვეს—ქლოია.

7. ორივე გოგო—ბიჭმა ჩვეულებრივზე სულ ადრე აჰყარეს ტანი, დამშვენდაენ, გალამაზდნენ, და სულ არა ჰგავდენ იმ სოფლის სხვა გოგო-ბიჭებს. დაფნისი თხუტმეტი წლის იქნებოდა და ქლოია ცამეტის, როდესაც დრიასსა და ლამონს ერთნაირი რამ დაესიზმრათ: გამოქვაბულის ფერიათ, საიდანაც წყარო მორაკრაკებდა და სადაც დრიასმა ქლოია იპოვნა, მხრებზე ფრთებ გამობულ ჭაბუკს გადასცეს დაფნისი და ქლოია; ჭაბუკს მრავალი პაწია ისრები და ლამაზი შვილდ კაპარჭი ეკიდა ზურგზე. ერთი და იმავე ისრით შეეხო ჭაბუკი ორივეს და უბრძანა: ბიჭს თხების მწყემსობა, ხოლო გოგოს—ცხვირს.

8. სიზმარმა ძლიერ დაღონა მოხუც[illegible] მწუხარებამ მოიცვა მათი არსება, რად[illegible] მათ სულ სხვა ბედნაერების მომასწავებ[illegible] ეგონათ ბავშვებთან ნაპოვნი ნიშნები [illegible] ბედმა კი უბრალო მწყესობა არგუნა. [illegible] ასეთი ხვედრის მოლოდინში, ნაზათ გამოზარდეს შვილობილები, წერა-კითხვა ასწავლეს და მასთან ისეთი აზრები შთაუნერგეს, რომ კეთილშობილიურია სოფლის, გლეხური ცხოვრება ბოლოს მაინც გადასწყვიტეს ლამონმა და დრიოსმა ღმერთთა სურვილისამებრ მოპყრობოდენ ღმერთების მიერვე დახსნილ-გადარჩენილთ. ორივემ უამბეს ერთი-მეორეს ნანახი სიზმარი ფერიათა თანდასწრებით ძღვენი შესწირეს უცნობ ჭაბუკს, რომლის სახელიც არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიც უსარგებლოდ იდგა სალონიკისა და მის მიდამოებში და ვერაფერს ბედავდა.

იმ ხანად გერმანული პრესაც აღნიშნავდა, რომ ამოდენა ჯარი ტყუილა დაბანდეს შეთანხმებულებმა, მაგრამ დღეს, რადგან მოკავშირეებმა ჯარებს თანდათან მოუმატეს გენერალმა სარაილმა სერბიის და ბულგარეთისკენ სერიოზულ ოპერაციების წარმოება დაიწყო ცენტრალური სახელმწიფონიც იძულებული იყვნენ ანგარიში გაეწიათ, თორემ მათ სამოქმედო ბალკანეთზე მეტი არაფერი ჰქონდათ, ვინაიდგან ბულგარეთის მომხრობით ბერლინ სტამბოლი შეერთებული იყო და თავხედი სერბია მთაშავეთ პოლონეთიც დაპყრობილი. შეთანხმების ლაშქარის ამოქმედებას არც ბულგარები ჩამორჩენ და მათ მყისვე სასტიკი იერიშები დაიწყეს კავალის მიმართულებით.

ბულგერათის ამოქმედებას მოჰყვა ოსმალების გამოსვლაც, რადგან შეთანხმებულთა გამარჯვება ბალკანეთზე მხოლოდ მათ უმზადებს საფრთხეს.

აი, ამ დროს მოხდა რუმინიის შეთანხმების მხარეზე გამოსვლა, რამაც უფრო გააღრმავა ბალკანეთის ასპარეზი.

დღეს აქ გაჩნდენ რუსის ჯარები,

ცენტრალურ სახელმწიფოთა ასეთ საფრთხეს უკვე მიაქცია ყურადღება გერმანიამ და ცნობილი მაკენზენი დანიშნა შეერთებულ ლაშქრის ხელმძღვანელად. ჯერ დიდი ბრძოლები არ მომხდარა, მაგრამ იგი სულ სულ სამ დღეშია მოსალოდნელი. ბალკანეთის ბრძოლები დიდ საფრთხეში აგდებს, საბერძნეთს, ბულგარეთს, ოსმალეთის ევროპის სამფლობელოს მებრძოლ ძალთა განაწილება ბალკანეთზე, დაახლოვებით ასეთია. ცენტრალურ სახელმწიფოებს შეუძლიათ გამოიყვანონ მილიონ ნახევარი, შეთანხმების სახელმწიფოთ კი ორ მილიონამდე.

ბრძოლის პირობები ცენტრალურ სახელმწიფოთ უფრო ხელს უწყობთ, რადგან მათი მოკავშირე ბულგარეთი და ოსმალეთი ბალკანეთის მკვიდრები არიან და მაშასადამე ადგილობრივ პირობების საკმაოდ მცნობნი.

დაუცადოთ რა სახით მოხდება მომავალი ბრძოლები, რასაც ჩვენ თავის დროზე შევეხებით. ი. იმერელი.

# ახალი ამბავი.

რედაქციამ მიიღო ჟურნალ „თეატრი და ცხოვრები“ს № 34. ჟურნალი შინაარსიანად არის შედგენილი.

✦ სასწავლებლები. ქუთაისის წმიდა ნინოს ქალთა სასწავლებლებში 22 აგვისტოს დაიწყო მოწაფეთა ხელმეორე და ახალ მოწაფეთა გამოცდები როგორც დირექტორმა გადმოგვცა ქუთაისის ქართულ სააზნაურო გიმნაზიიდან მოწაფეები ჯარში არ იქნებიან გაწვეულნი. მისაღები გამოცდები ქართულ გიმნაზიაში 22 აგვისტოს დაიწყო მხოლოდ ხელმეორე გმოცდები მოხდება 28 აგვისტოს.

✦ გოგირდ შაბიამანი. „ფრიდონოვი“ს ფირმას თბილისში დიდძალი გოგირდშაბიამანი მოსვლია. ფირმა იმ პირთა და დაწესებულებათა საყურადღებოდ რომელთაც ამ ფირმისთვის ხსენებული მასალა შეუკვეთნიათ 1 ენკენისთვემდე მოიკითხონ იგი. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი გოგირდ შაბიამანს ველარ მიიღებენ და მათშიც დაიკარგება.

✦ დ. ბორჯომი ბორჯომის ხეობაში საქონლის ჭირი გაჩენილა. ჭირს გაუწყვეტია დიდძალი საქონელი, რის გამოც ბორჯომის ტყეებიდან საამშენებლო მასალას და სხვა და სხვა ქალაქების მიერ შეკვეთილ შეშას ველარ ეზიდებიან.

✦ თბილისის ქალთა უმაღლეს კურსების სამედიცინო ფაკულტეტზე 300 მდე მთხოვნელი მიაწყდა. კურსებისთვის ჯერ შესაფერი შენობა ვერ უშოვიათ

✦ ქალაქთა კავშირების მთავარმა სარწმუნებულომ კავკასიის ქალაქთა კავშირის განყოფილების გამგეობას ორი მილიონი მანეთი გამოუგზავნა მიმდინარე წლის ხარჯებისათვის.

✦ კვირას, თბილისის ქუჩებში გამოაკრეს სამაზრო სამხედრო უფროსის განცხადება, რომლითაც იწვევენ ჯარში პირველი ხარისხის მოლაშქრეთ 1916 დან 1898 წლამდე და მეორე ხარისხის მოლაშქრეთ 1916 წლიდან 1910-მდე. გაწვევა მოხდება აგვისტოს 25-დან ენკენისთვის 9-მდე.

✦ 6 ენკენისთვეს დანიშნულია სანაინის სადგურის გაფიცვის (1905 წ.) პროცესის გაგრძელება სამოსამართლო პალატაში. სამართალშია მიცემული ყოფილი რკინის გზის სათადარიგო აგენტი სამსონ კოხრეიძე 10 მ. მუხლის 1 ნაწილის ძალით.

✦ კვირას 21 აგვისტოს დ. ზესტაფონში გაიმართა თეოფილე ხუსკივაძის იუბილე მისი 35 წლის მოღვაწეობის გამო სამწერლო ასპარეზზე. ამ დღესასწაულზე დაესწრენ წარმომადგენლები გაზეთ „სამშობლოს“ რედაქციისა, ძირულის საზოგადოებისა, ახალგაზდა მგოსანი ფაშალიშვილი და ადგილობრივი კულტურულ დაწესებულებათა რწმუნებულნი.

დღესასწაული შინაარსიანად იყო მოწყობილი. პირველად წარმომადგენლებმა მიულოცეს ეს მისთვის შესანიშნავი დღე. შემდეგ ბ. ალ. გარსევანიშვილმა წაიკითხა ფრიად საყურადღებო ლექცია სოლომონ ლეონიძის შესახებ.

მესამე განყოფილებაში წაკითხულ იქმნა იუბილიარის სახელზე მოსული დეპეშები და ბოლოს თვით იუბილიარმა სიტყვა წარმოსთქვა და დამსწრეთ მადლობა გადაუხადა.

საზოგადოება აღფრთოვანებით მიეგება იუბილიარსა და მის სიტყვას.

**თეოფილე ხუსკივაძის 35 წლის სალიტერატურო მოღვაწეობის გამო. რედაქციამ მიიღო შემდეგი დეპეშები**

**ოჩემჩირედან.** გილოცავ სალიტერატურო იუბილეს. სულითა და გულით გისურვებთ განგეგრძოთ თქვენი სასარგებლო მოღვაწეობა ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ

ტატიშვილისა მარიამ მარღანია დესპინე, აფენდოპულო ლიზა, ლიზა კირტავა.

—

**საჩხერიდან.** საჩხერის კულტურული დაწესებულებანი სალამს უძღვნიან ძვირფას იუბილიარს და უსურვებენ მას ხანგრძლივ ნაყოფიერ ლიტერატურულ მოღვაწეობას.

ქემი ჭოღოშვილი.

—

**ქუთაისიდან** მოვუძღვნი ვართ საშუადებას, რომ პირადათ გინახულოთ პატიოსანო და მშვიდო მუშაკო მიიღეთ ჩვენგან გულითადი მილოცვა 35 წლის სამშობლო ასპარეზზე სამსახურის გამო. იცოცხლეთ სამშობლოს სასარგებლოთ და განაგრძეთ პატიოსანი გზა.

თომა მაჭავარიანი.

## მოწოდება

**კავკასიის მაჰმადიანებისადმი:**

**ხელმწიფე იმპერატორს** მოვახსენე, რომ კავკასიის მაჰმადიანები მზად არიან დაიცვან ტახტი და სამშობლო. **მისმა იმპერატორებითი უდიდებულესობამ** მიბრძანა, ნუ გ ვიწვევთ ადგილობრივ მაჰმადიანებს სამუშაოდ, თანახმად ამა წლის 25 ივნისის **უმაღლესი** ბრძანებისა.

ბედნიერი ვარ ვაუწყო მცხოვრებლებს ეს ახალი წყალობა მეფისა დარწმუნებული ვარ, როდესაც მეფის ბრძანება მოითხოვს, მაჰმადიანები პატიოსნად აასრულებენ თავიანთ ვალს, მგზავსად კავკასიის იმ მაჰმადიანთა პოლკებისა, რომლებიც ომის დასაწყისიდანვე მტერს ებრძვიან.

**გენერალ ადიუტანტი ნიკოლოზი**

1916 წ. 20 აგვისტო.

## მილოცვა.

**ძვირფასო ძმაო თეოფილე,**

დიდათ ვსწუხვარ, რომ სამწუხარო გარემოებამ — დედის მძიმე ავათმყოფობამ ხელი შემიშალა, რომ დღეს სხვებთან ერთად მეც მიმეღო მონაწილეობა თქვენ სადღესასწაულო საღამოში.

ჟამად თქვენთანაც რომ არ ვიყო ამ ჟამათ, მე მაინც სავსებით ვიზიარებ თქვენს მხიარულებას, რადგანაც დიდის ხნიდგან ვცნობთ ურთიერთის სულის ვეთებას და ბევრი რამ ერთად განგვიცდია ამ პატარა დაბა — ყვირილაში.

ძალიან სასიამოვნოდ მიჩრება, რომ საზოგადოებამ ასეთი დღესასწაული გაგიმართა და ამით აღინიშნა თავისი ყურადღება და პატივისცემა ჩვენი მუშაკისადმი. მით უფრო სასიამოვნოა ეს, რომ თქვენი მოღვაწეობა არ იყო რიხითა და ხმაურობით მოცული, არამედ იყო ჩუმი, მოკრძალებული და ზვიადობას მოკლებული და აი სწორედ ამ მხრივ ესეთ საყურადღებო საზოგადოების გამოხმაურება, ძალიან და ძალიან საგრძნობელია და საგულისხმო. ჩუმი მოღვაწეობა რომელიმე დარგში და რომელიმე კუნჭულში — ხშირად უყურადღებო რჩება, და ვინ იცის რამოდენად უნაყოფონი იქნებოდენ ჩვენი ბუმბერაზი მოღვაწენი, რომ ჩუმი თანაშემწენი არ ჰყავნდესთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, რომელნიც შეუმჩნევლად ხელს უწყობენ მათ ნაყოფიერებას და აღვივებენ დაუშრეტელ ცეცხლს ყოველგვარი რიგიანი საქმის გასათბობად და გასაღვივებლად. სახარბიელოა ასეთ პირთა რიცხვში ჩარევა სამაყოა ყოველი სოფლისათვის ასეთი შვილის ყოლა.

ამდენი ხნის განმავლობაში მუშაობთ კალმით, საქმით, სიტყვით პატარა იმერეთში, მაგრამ ყველა ესენი არ გამოჰპარვია საზოგადოებას და მადლობის ნიშნად დღეს საზეიმო საღამოს გიმართავთ. მეც მათთან ერთად მსურველი ვარ თქვენი ჯანმრთელობისა და მხნეობისა იმ მოღვაწეობის განსაგრძობად, რომელსაც დღემდე ეწეოდით. ყველამ რომ თქვენსავით დაუბრუნოს საზოგადოებას სამაგიერო, რიგიანის საქმით, მუდამ ერთგვარი მიმართულებით და დაუღალავის გულშემატკივრობით და თანაც კალმით, მაშინ ჩვენი ყოფნა ესოდენ სავალალო არ იქნებოდა და წუილაჯობის ნაცვლად სანეტაროდ საფეხურს იქნებოდა მიღწეული. თქვენგან კი ეს წმინდა მოვალეობა კეთილად და პირნათლად არის აღსრულებული და თქვენც ეს უნდა მიიღოთ თქვენის ჰირვარამის ღირსეულ სამაგიეროთ.

იცოცხლეთ მრავალჟამიერ, ძვირფასო თეოფილე და მიიღეთ ჩემი მეგობრული, უგულითადესი სალამი აგრეთვე დედაჩემისაც.

თქვენი ერთგული ვახტანგ დუმბაძე.

## გურიის ამბები.

**ქ ოზურგეთის მომავალი ქალთა ოთხკლასიანი პროგიმნაზია.**

რამდენიმე დღის წინად ქ-ნ. ქიფო ორაგველიძე და ანნა მგელაძემ განცხადებით გვაუწყებს, რომ ისინი სათანადო მთავრობის ნებართვით ამა წლის სექტემბრიდან (ქალაქის თვითმართველობის დახმარებით) ხსნიან ქალთა ოთხკლისიან პროგიმნაზიას — მოსამზადებელი განყოფილებით, რაც ძლიერ სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს განსაკუთრებით იმდროს, როცა ასეთი ტიპის ქალთა სასწავლებელი ოზურგეთში არ არის და ასეთის დასაარსებლად დიდი ხანია ცდილობდნენ. ზედმეტია იმის შესახებ მსჯელობა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი და სასარგებლოა ეს საქმე. რუსეთის კონსერვატიულ წრეებში ეხლა დაიბადა ის იდეა, რომ განათლება, კულტურის საფუძველია.

ამ ჟამად ქ. ოზურგეთში არსებობს შემდეგი დაბალი სასწავლებლები. პირველ დაწყებით უმაღლესი და სასულიერო სასწავლებლები, ქალთა ორკლასიანი სასწავლებელი, და სხვა სამრევლო და სამინ. სასწავლებლები. აი ოზურგეთის კულტურულად აღმზრდელი დაწესებულებანი.

არც ერთ ამათგანში მეცადინეობა შესაფერ ნიადაგზე არ არის დაყენებული. ქალაქის პირველ დაწყებით უმაღლეს სასწავლებელში „პროგრამის სიძნელის“ მეტი არაფერი არ გააჩნიათ... სასულიერო სასწავლებელში სკოლის შენობის უქონლობის გამო ბევრი ბავშვი უსწავლელი რჩება, ხშირად ზღაპრული კონკურსები იმართება ორთავე სასწავლებელში. განა გურიის სამღვდელოება ვერ შესძლებს შესაფერისი შენობა ააგოს და თავიანთ შვილებს სწავლა განათლება მიაღებინონ? შემწეობის აღმოჩენას, მით უმეტეს, რომ მთავრობაც დაჰპირდა. ქალთა ორკლასიან სასწავლებელში ბევრ ცუდს ფაქტებს აქვს ადგილი, რომელიც მაჩვენებელია იმისა, რომ სწავლის საქმე ვერ არის კარგად დაყენებული სასწავლებელში, რაც არა ერთხელ იყო აღნიშნული ქართულ-რუსულ პრესაშიც (დაწვრილებით შემდეგში) ყველა ასეთს ნიმუშიან ფაქტები, რომლებსაც ხშირად ადგილი აქვს ოზურ. ორივე სქესის სასწავლებელში, სრულ ინდიფერენტიზმს ჰქმნის მასში სკოლებისადმი და უკანასკნელობის პროგრესს წინ ეღობება და ხელს უშლის, რაიც დიდ სამწუხარო მოვლენად უნდა ჩაითვალოს და დიდს სიფთხილეს მოითხოვს პედაგოგთა დანიშვნის დროს.

აქ გამეფებულია პროტექცია, პროტექციით ღებულობენ — გადაიან-ათავებენ სასწავლებლებს და არა ნამდვილი ცოდნით, რასაც, მგონი ხედავს, თვით პატივცემული ოზურგეთის საზოგადოება.*) ყველა ესენი, სხვადასხვა მოვლენების ფაქტიურად დამახასიათებელი, პატარებად, სხრტათ, და თითქმის ჰარმონიულად შეერთებული, მისთვის მოვიყვანე, რომ ... ცოტათი მაინც ... ნი, თუ როგორ უწევთ მოწაფეებს სასწავლა, და როგორ პედაგოგიურ პერსონალთან აქვთ საქმე, რომლებსაც აბარია მომავალი თაობის „სრული-ბედიღბალი“, რასაკვირველია აქ, ქალაქის თვითმართველობასაც ბრალი მიუძღვის, — (ყველა ჩემს სიტყვებს დაადასტურებს 17 აგვისტოს „თ. ა.“ № 182 წერილი ოზურგეთიდან.)

ასეთს გაქლენთილს სფეროში უწევთ სასწავლებლის დაარსება ქ ქ-ნ, ანნა მგელაძეს და ქიფო ორაგველიძეს, რომლებსაც პედაგოგიურ დარგში შესაფერისი პრაქტიკა აქვთ და სამოსწავლებლო ასპარეზზე ერთერთ საუკეთესო გამოცდილების მქონეთ ითვლებიან. რომ მათმა სასწავლებელმა ნამდვილი აღმზრდელობითი სახე მიიღოს, საჭიროა აქიდანვე სასტიკად დაიცვან ის აუცილებელი ელემენტალური პირობები, რომლებიც საჭიროა ყოველ რეალურ „პედაგოგიურ სასწავლებლისთვის“ ზნეობრივი სისპეტაკე; კერძო გონებრივი ვარჯიშობა; ღარიბ მოწაფეთა კლასის ფულისაგან განთავისუფლება*) პროტექციას ადგილი არ უნდა ჰქონდეს, და სხ. თუ ყველა ეს პირობები და აგრეთვე ის ყველა აუცილებელი, როგორც ზევით ვსთქვით, ელემენტალური პირობები არ იქნებიან დაცული მაშინ მათ მიერ დაარსებულ სასწავლებლის არსებობა ხანმოკლე გამოდგება, როგორც იყო მაგ. 1903 წელს ქალთა ოთხკლასიან სასწავლებელში, დაარსებულ ქ-ნ ნადეჟდა ბოლქვაძისაგან, რამაც მიუხედავათ კარგი პედაგოგებისა, რომლებთაც ადგილი ჰქონდა სასწავლებლებში ს. ნ. ბ. მღ. ბლ. დ. ში — ძე და სხ ) ორი წელიწადის მეტი ვერ იარსება, (თუმცალა მის ადრე სიცოცხლის მოსპობას გაძლიერებულმა 1905 წ. რეაქციამ ხელი შეუწყო.) და მოწაფე ქალები ისევე რიყეზე დარჩნენ და უდროოდ ჩაებნენ „ცხოვრების ფერხულში“ მაშ სრული გამარჯვება მომავალ ქალთა სასწავლებელს და ვუსურვოთ პროგრესი რეალურ პედაგოგიურ ნიადაგზე.

ანდრია ეკლეკტიკი

## სოფელი დღეს.

III

ჩვენი ქვეყანა მეურნეობის ქვეყანაა. ამ ქვეყნის მკვიდრთათვის მეურნეობის ცოდნა უსაჭიროესი რამ არის. ეკონომიურად ჩვენი ქვეყანა მხოლოდ მაშინ წაიწევს წინ, როცა მეურნეობა სასურველ კალაპოტში ჩადგება. დღეს კი ჩვენში მეურნეობა პირველყოფილ მდგომარეობაშია: ძველებური სახნის საკვეთელი, ძველებური ბარი და თოხი, ძველებურად შეგნებული მუშა ჯერ კიდევ ძალაშია, ჯერ კიდევ სცოცხლობენ. რომელ დარგს აიღებთ მეურნეობისას, რომ ის პირველყოფილ მდგომარეობას არ განიცდიდეს.

მევენახეობა მეღვინეობა ხომ მილიონებს მისცემს ქართველ ხალხს, რომ სასურველად იყოს დაყენებულ-განვითარებული ეს დარგი მეურნეობისა ჩვენში ძველებურად სხვლენ, ძველებურად კრეფენ, ძველებურად ამზადებენ ღვინოს: ძველებური ჩარჩი მყიდველი, ძველებური ბაზარი. დიაღ, ყველაფერი ძველებურია ჯერ თუ არ მივიღებთ მხედველობაში მიწის გადაბრუნებას და ამერიკულ ვაზზე ვენახის დამყნას. მაგრამ მიწის გადაბრუნებას და ვენახის დამყნასაც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში თავისი საკუთარი ისტორია აქვს და რა გასაკვირველია, თუ საქმე რიგიანად ვერ მიდის და ხალხი სარგებლობის ნაცვლად ზარალს ხედავს.

მებაღეობა-მეხილეობა ხომ ერთი თვალ-

*) ამას მოყვება მ თი ბავშვების უცოდინარობა და ტყუილად დროის დაკარგვა. სულ ხშირად გაიგონებთ-„ბალის (ქალთა ორკლასიანი სასწავლებელია) და ქვე... კლ.-ში (პირველიდან უმ. სასწ.) ბალღების შ ყვ ნა პირდაპირ ზარალია“— აი ხალხის მიერ პსიხოლოგიური დახასიათებ... სებულ სკოლებისს. ანდრია ეკლეკტიკი

*) როგორც სარწმუნო წყაროებიდან ... გეთ ბ-ნ ბეჟან ვ. ხუნდაძეს გადა... წ.-ვეტიაო ... ველ წლიურად 10 სტიპენდია დაუნიშნოს ... დაარსებულ ქალთა სას. წ. მოწაფეებ. რომელ იმედია, მიმბაძველები აღმოუჩნდებიან და სასწავლებლს არ ებობას ხელს შეუწყობენ. ანდრია ეკლეკტიკი

ფელეტონი

იცოდნენ, თავიანთი აღზრდილნი მწყემსებად გაგზავნეს და ასწავლეს, როგორ მოქცეულიყვნენ: როგორ მოევლოთ პირუტყვთათვის, რა დროს უნდა ჩაერეკათ მდინარეზე წყლის დასალევ ნებლათ ფარა და საღამოს როგორ უნდა მოერეკათ ფარეხში; როდის უნდა გამოხმაურებოდენ ფარას და რა შემთხვევაში უნდა მიემართნათ კომბლისათვის. გამოუცდელი ბავშები აღტაცებული შეხვდნენ ახალ თანამდებობას, თითქო ძლიერ საპატიო და დიდი მოვალეობა დააკისრესო და ისე შეუყვარდათ თხა და ცხვარი, ვით არც ერთ მწყემსს არ უყვარს ისინი, რადგან კარგად ახსოვდათ, რომ ქლოია ცხვარმა გადაარჩინა სიკვდილს და ადამიანთაგან განწირულ დაფნისზე ზრუნვა კი თხამ იდვა თავის თავზე.

9 გაზაფხულის პირი იყო. ყველაფერი ჰყვაოდა. სკიდან ახლად გამოფრენილი ფუტკარი ბზუილით მოედვა მინდორს, ჩიტ ჩიორათა გალობა და ბატკანთა ბღავილი ისმოდა ირგვლივ. ცხვრები კუნტრუშობდენ, ფუტკარნი თავს დასტრიალებდნენ ყვავილთ, ფრინველნი ტყე-ველს აყრუებდნენ ჟივილითა და ჭიკჭიკით ისინიც აჰყვნენ ბუნების დღესასწაულს, ყველაფერში ჰბაძავდნენ ახალგაზდანი, რაც ისმინეს და იხილეს: ფრინველთა ჭიკჭიკის გაგონებაზე გალობდნენ, ცხვარ თხათა ხტუნაობაზე ისინიც კუნტრუშს მოჰყვებოდნენ, ფუტკრის ბზუილსაც კი მიჰბაძეს; ყვავილებს ჰგლეჯდნენ და ზოგს გულ მკერდზე იბნევდნენ, სხვებიდან გვირგვინსა ჰქსოვდნენ და ფერიათ უძღვნიდნენ.

10. რიგ რიგობით, მხოლოდ ცხოველთ მწყემსავდნენ, სხვა ყველაფერი საერთო ჰქონდათ სულ ხშირად დაფნისი მოსძებნი და უკან ჩამორჩენილ ცხვრებს; სადმე ფლატეზე გასულ თხას კი ქლოია ჩამოდენიდა: ხანდახან, სანამ ერთი რაიმე ბავშური გასართობით მხიარულებდა, მეორე მწყემსავდა ორივე ფარას. ეს იყო ბავშვმწყემსთა გულუბრყვილო გასართობი; გამხმარ ლერწამს აგროვებდა გოგო და მახეს უგებდა მინდვრის გამოყრუებულ და მოუსვენარ ჭრიჭინათ ამ ამბით გართულს სულ აღარ ახსოვდა ცხვრები; ბიჭი კი მუხლში გადაჭრილი იმავე ლერწამს ერთიმეორეზე აკრავდა სანთლით და ხშირად დილიდან საღამომდე აჭყვიტინებდა — სტვირზე დაკვრას სწავლობდა. ერთად სვამდენ ღვინოს, რძეს და ერთადვე შეექცეოდნენ შინიდან წამოღებულ სადილს. თხებსა და ცხვრებს უფრო ადვილად ნახავდით დაშორებულს, ვიდრე დაფნისსა და ქლოიას.

11. როდესაც ასეთი ბავშური თამაშით ერთობოდენ სიყვარულის ღმერთმა სულ სხვა საზრუნავი გაუჩინა მათ. შორი ახლოს ძუ მგელს ლეკვები დაეყარა და არა ერთსა და ორ თხასა და ცხვარს სტაცებდა მათ ლეკვების გამოსაკვებათ. შენიშნეს თუ არა ეს გლეხებმა, რამდენიმე ორმო გათხარეს ღამით. ორმოდან ამონაღები მიწა სხვა ადგილს გადიტანეს; ორმოს პირი ხმელი ფიჩხით დახურეს და ზედ კიდევ მიწა გადააყარეს ისე, რომ ორმოს სულ ვერ შეამჩნევდა ადამიანი. გაქცეულ კურდღელსაც კი ვერ გაუძლებდა დამპალი და დაფუტუტებული ფიჩხი. მთა-გორებსა ველ-მინდორზედ ამოთხარეს მრავალი ორმო, მაგრამ ეტყობა, მგელმა ადრევე აიღო სუნი და უფრთხოდა, გვერდს უვლიდა მათ. სამაგიეროდ, ბევრი თხა და ცხვარი ჩაცვივდა შიგ და ერთ მათგანში კინაღამ დაფნისიც დაიღუპა. აი როგორ მოხდა ეს ამბავი.

გ. მუმლაძე.

(შემდეგი იქნება).

საჩინო შემოსავლის წყაროა იმ ხალხისათვის, რომელსაც მეურნეობა განუვითარებია. ჩვენში კი ეს დარგიც მეურნეობის პირველყოფილ მდგომარეობაშია განათლებული ქვეყნის კაცმა რომ დაიაროს ჩვენ სოფლებში, დაუკვირდეს ჩვენ ბაღებს, უეჭველია, ველურებს დაგვიძახებს.

ჯერ გარეგანი სახე ჩვენი სოფლის ბაღებისა გვიჩვენებს, რომ ამ ბაღის პატრონებს სრულიად არაფერი გაეგებათ მეურნეობისა. სოფლის თვითეული ბაღჩა წარმოგვიდგენს ერთ არევ დარევას. ერთ ნაჭერ ადგილზე აურევიათ ერთმანეთში სხვადასხვა ხილი, ვაშლს თავისი ტოტები მსხლისათვის გადაუღვია, მსხალს ვაშლისათვის, ორთავეს ბიისათვის, ბიას კიდევ ქლიავისათვის. ასე ამ გვარად ხეხილი ერთი მეორეს ახრჩობს, აჩეროებს და რა გასაკვირველია, რომ პატრონი ამ გვარმა ბაღმა არ დაასაჩუქროს გემრიელი ნაყოფით.

გაზაფხულზე ამ მდგომარეობაში მყოფი ხეებიც იპენტება, ჰყვავის. პატრონს უხარია, მაგრამ ეს სიხარული არ არის ხანგრძლივი. თუ ამინდმა შეიბრალა უვიცი მეპატრონე და არ მოუწვა, ხეხილის დაუძინებელი მტერი ხომ ყოველთვის მზათ არის ჭია-ღუა პატრონის თვალწინ არხეინად დაცოციალებს ხეებზე და შეექცევა ნაყოფს.

შეუგნებელ სოფლელს ეს ბუნებრივ მოვლენად მიაჩნია, ნოუქვდია ხელი და შესჩერებია. ან კი რა ჰქნას; სოფელს არა აქვს ცოდნა—ეს ორივე გვერდით მჭრელი იარაღი. არ ესმის ხეხილი რარიგ აპატიოს, რა საშუალებას მიმართოს ცუდი ტაროსის დროს, რომ მოწვას გადაარჩინოს; რა საშუალებით მოიცილოს თავიდან ხილის დაუძინებელი მტერი—ჭია-ღუები; როგორ უაქიმოს დაავადმყოფებულ ხეს და სხ. ვსთქვათ, ამინდმა ხელი შეუწყო და ხეხილი მოწვას გადარჩა, ვსთქვაც ჭიამაც შეიბრალა მეპატრონე და ხილმა სასურველად მიაღწია მოკრეფის დრომდის. რა გამოვიდა? სოფელმა ხომ ხილის შენახვა არ იცის, ერთ თვეს ან ორს თუ ვასტანს დაულპობლად. ვსთქვათ დალპობასაც გადარჩა. რა გამოვიდა? სოფელმა ხომ ხილის ფასი არ იცის; ის აკეთებს და მისი უვიცობით სარგებლობს დახელოვნებული ჩარჩი და ჯიბეს ისქელებს მებოსტნეობაზე, მეაბრეშუმობაზე და მეურნეობის სხვა დარგებზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. ყველა ესენი პირველყოფილ მდგომარეობაში არიან ჩვენში. ეს დღესავით ნათელია.

უკვირდები ჩვენ ამ გვარ მდგომარეობას და შემდეგ დასკვნამდის მიდიხარ ეს ბუნებისაგან დაჯილდოვებული მხარე ჩვენ ხელშია, და ამ ყველაფრის მომცემ და გამხარებელ მიწას ტყვილა ვაცდენთ. ვაცდენთ და გონება გვაქვს ამისი? რად, რად გვძინავს ასე უშნოდ?!.. ნუ თუ აქამდე ვერ შეგვიტყვია ის ჭეშმარიტება, რომ ჩვენ ვერავინ ვერ გვიშველის, ვერავინ ვერ გვარჩენს; რომ ჩვენ თავს ჩვენვე უნდა უპატრონოთ. ნუ თუ დრო არ არის დავადგეთ იმ გზას, რომელიც ხელსაყრელია ჩვენი ქვეყნისა და ხალხისათვის.

ჩვენი ქვეყანა თუ მეურნეობის ქვეყანაა რად, რად არ ვცდილობთ ამ ქვეყნის შვილები მეურნეობის განვითარება-აყვავებაზე? რად არ გვსურს ჩვენ ქართველებს აგრონომიული მეცნიერება შევისწავლოთ? ჩვენ უპატრონოდ მიტოვებულ სოფელს ესაჭიროება აგრონომიული ცოდნით შეიარაღებული პირების ხელმძღვანელობა. მაგრამ სად არიან აგრონომები? ჩვენ ისინი არ გვყავს. ორი-სამი პირი კიდევაც რომ იყოს, საქმეს ვერ უშველის.

სამწუხაროდ უნდა აღვნიშნო, რომ ქართველი ახალგაზდობის დიდი უმრავლესობა აგრონომიულ ცოდნის შეძენას გაურბის. არც მშობლები აგულიანებენ მათ. რით უნდა ავხსნათ ეს სამწუხარო მოვლენა? თამამად ვიტყვი, რომ ჩვენი ქვეყნის საჭიროების შეუგნებლობით!..

ჩვენი ქვეყნის საჭიროების შეუგნებლობით უნდა აიხსნას უთუოდ ის გარემოებაც, რომ ჩვენში სამეურნეო სკოლები სანთლით საძებარია.

სამინისტრო და სამრევლო სკოლები ჩვენში ბლომადაა. კიდევ მადლობა ღმერთს! მაგრამ უნდა აღვიარო, რომ ეს სკოლები სოფელს საჭირო ცოდნას არ აძლევენ ამ სკოლებში სოფლის ახალგაზდობა სწავლობს წერა-კითხვას და მხოლოდ „საყველპუროთ“ წერა კითხვას. უნდა გვახსოვდეს, რომ დიდი უმრავლესობა სოფლის ბავშვებისა სკოლაში სწავლის გათავების შემდეგ ოჯახს უბრუნდება და მუშაობას ჰკიდებს ხელს. მაგრამ მას მუშაობის არაფერი გაეგება. ამით უნდა აიხსნას ის სამართლიანი საყვედურები, რომელიც ხშირად გვესმის დამკვირე სოფლებისაგან.

— აი იმ დღეს რა უთხრა როცა შვილი სკოლაში შევიყვანე. ორიოდე ანბანი ისწავლა, ისიც დაავიწყდა—მუშაობა სძულს და არც არაფერი გაეგება მისი. იმდენს რომ მაინც ახერხებდეს, რამდენსაც მე, კიდევ კარგი საუბედუროდ არც სწავლა აქვს იმდენი, რომ სხვაგან წავიდეს, თავი ირჩინოს და ოჯახსაც შეეწიოს და ოჯახშიდაც, მუშად არ ვარგა და სხ.

სოფლელის ამ გვარი სიტყვები წრფელი და ჭეშმარიტია. სამინისტრო და სამრევლო სკოლები ვერ ამზადებენ სოფლელს სოფლისათვის, ვერ აძლევენ მას საჭირო ცოდნას.

ჩვენს ქვეყანას, როგორც მეურნეობის ქვეყანას, ესაჭიროება სკოლა, რომელიც მისცემს სოფლის ახალგაზდობას სამეურნეო ცოდნას.

ჩემის ღრმა რწმენით, თუ გვსურს, რომ მეუნეობა ჩვენი გამოვიდეს პირველ ყოფილ მდგომარეობიდან და ეკონომიურად ჩვენმა სოფელმა წინ წაიწიოს, საჭიროა სამინისტრო და სამრევლო სკოლების ადგილას, ან მათ გვერდით სამეურნეო სასწავლებლებიც გაჩნდენ. სანამ ეს მოხერხდებოდეს, საჭიროა, ეხლავე სამინისტრო და სამრევლო სკოლებში ექნეს ადგილი პრაქტიკულად და თეორეტიულად აგრონომიის შესწავლას, რამდენათ ეს, რასაკვირველია, შესაძლო იქნება. თორემ რუსულ ქართული ლექსების და ძველი და ახალი აღთქმის ისტორიის ზეპირობა გაძვალტყავებულ სოფლის ოჯახს ვერ უშველის, ვერ გააძღებ-გაასუქებს.

საჭიროა ქართველი მოსწავლე ახალგაზდობის ერთი ნაწილი საშუალო განათლების მიღების შემდეგ აგრონომიის შესასწავლად მიდიოდეს რუსეთსა და საზღვარ გარედ. საჭიროა შეგნებულმა მშობლებმაც ურჩიონ თავიანთ შვილებს წავიდენ უნივერსიტეტებში აგრონომიის შესასწავლად. საჭიროა სტიპენდიეებიც კი ენიშნებოდეს იმ ახალგაზდებს, რომლებიც ისურვებენ ამ ნაწილის შესწავლას.

რამდენათ მეტი იქნება რიცხვი შეგნებულ აგრონომებისა, რამდენათ ბევრი შევლენ სოფლებში პრაქტიკული ცოდნის შესატანათ; რამდენათ ბევრი გაჩნდება სამეურნეო სკოლები, საცდელი ბაღებით, იმდენათ მალე გამოვა ჩვენი მეუნეობა პირველ ყოფილ მდგომარეობიდან და ჩვენი სოფელიც ეკონომიურად წინ წაიწევს. ეკონომიური განვითარება ხომ გამოიწვევს სოფლის სხვა მხარეების განვითარებასაც, რომელი მხარეებიც დღეს სამწუხარო სურათს წარმოადგენს.

დროა გამოვიფხიზლოთ! დროა დავრწმუნდეთ, რომ პატრონობას ჩვენ ვერავინ ვერ გაგვიწევს, რომ ჩვენ თავს ჩვენვე უნდა უპატრონოთ. დროა შევიგნოთ რომ ჩვენ, როგორც მეურნეობის ქვეყნის შვილებს, გვესაჭიროება აგრონომიული ცოდნა თუ ასეა მაშ მივცეთ ეს ცოდნა ჩვენ შვილებს!...

გორგი.

---

## რუსულ—სომხური პრესა.

სომხეთის ბედი „კავკასკოე სლოვოში“ მოთავსებულია ვინმე „მაგისტრანტის“ შემდეგი წერილი შესახებ დაპყრობილ ოსმალეთის მომავლისა.

„ოსმალეთის სომხეთის ავტონომია მკვდარია, რომლის დამარხვა სომხებს ჯერ კიდევ ვერ გაუბედიათ და თან დააქვთ; „სომხური ავტონომია“ ყოველთვის უტოპია იყო; ავტონომიური მმართველობის ოსმალოების ხელიდან გამოგლეჯა კიდევ შეიძლებოდა... და რომ გერმანეთი არა, რუსეთი მოახერხებდა ამას, მაგრამ თვით სომხები რას მოიგებდენ, —ისინი ხომ ომამდისაც უმცირესობას შეადგენდენ და ავტონომიის შემოღებით მხოლოდ იმას მიაღწევდენ, რომ კონსტანტინოპოლის საიმპერიო პარლამენტის მაგიერ მათი ბედი ადგილობრივ აზრუმის სეიმს ჩაბარდებოდა, რომელშიაც უმრავლესობა მაჰმადიანთ ეკუთვნის.

ომის შემდეგ კი სომხის ერი გაიქცა დარბეულ გამოხვეწილთა გროვათ და დაიბნა კავკასიის, შუამდინარის და სირიის მიდამოებშიც; ყველა [illegible] შაბლოში და ამერიკაში გადასახლებული სომხებიც რომ თან მიჰყვენ (თუმცა ისეთი ცოტა იქნება, რომ ახალი სამშობლოს მოწყობილი ცხოვრება ძველ დარბეულ სომხეთის ცივ და ხრიოკ კლდეებს ანაცვლოს),—სულ ერთია, ამგვარი მასალით საკუთარ ხელმწიფების შექმნა შეუძლებელია; ახლა ისიც მიიღეთ მხედველობაში, რომ დაპყრობილ ოსმალეთში მაჰმადიანებიც ცხოვრობენ და ისინიც თანდათან მრავლდებიან.

ვერც ინგლისი და ვერც საფრანგეთი რუსეთის დაუკითხავად „ავტონომიურ არმენიას“ ვერ დაასრსებენ (ინგლისის ჯავშნოსნები ხომ ვანის ტბასთან ხომ ვერ მივლენ) და რუსეთი კი, თვით კერენსკიც რომ ჩასდგეს მთავრობის სათავეში რასაკვირველია არ მოისურვებს რუსული „შტიკების“ დახმარებით შეიქმნას და შემდეგ დაიფაროს კიდეც ვილაცასთვის და რალაცასთვის შექმნილი „ავტონომიური ვანის ოლქი“.

თუ რუსეთს სჭირია ვანი, ბითლისი და მუში, იგი კიდევაც შემოიერთებს მათ და მოიმართავს ისე, როგორც ყარსის და ერევნის სომხებით დასახლებული „უეზდები“; ვერავინ ვერ დაატანს ძალას რუსეთს, რომ თავის საზღვრებში „ავტონომიური სომხეთი“ შექმნას; და, თუ საზავო კონგრესზე ვინმემ მართლაც სცადა ასეთი გავლენა, ამით რუსის ხალხს აამხედრებს არა მარტო თავის წინააღმდეგ, არამედ თვით იმათ წინააღმდეგაც, ვინც მათ ზურგს უკან იდგომება (ე. ი. სომხების); რუსეთმა 1912 წელს სამხრეთის რეფორმის საკითხი იმიტომ აღძრა, რომ ეს ოსმალეთს შეეხებოდა რა რაკი სომხეთი რუსეთით საზღვრებში მოიქცა, სომხური საკითხიც მოსპობილია.

ომის ბოლო უკვე სჩანს; ინიშნება უკვე ომის შედეგებიც; კერძოდ, რაც შეეხება ოსმალეთს, იქნებ პესიმისტებს ის არა სჯეროდეთ, რომ კონსტანტინოპოლი და სრუტეები გვერგება, თორემ ოსმალეთის სომხეთისა და ოსმალეთის საქართველოს შესახებ არავინ ეჭვობს, რომ ისინი მთლად ჩვენ საზღვრებში შემოვლენ და ჩვენი საზღვარი ბათომიდან ტრაპიზონამდე ან კიდევ უფრო იქით, ოლთისიდან ბაიბურთამდე, ყარსიდან ერზინჯიანამდე ან და თვით სივასამდე და ერევნიდან ვანამდის და მუშამდის გაიწევს; რეალისტური სომხური აზროვნება სწორედ ამაზე უნდა აშენებდეს თავის მოქმედების გეგმას; მხოლოდ მაშინ, როდესაც სომხის პოლიტიკოსები უარყოფენ ავტონომიის უტოპიურ იდეალს, შეგვეძლება იმის გარდაწყვეტა თუ როგორ უნ და მოაწყოს დაპყრობილ ოსმალეთის მიწის და მმართველობის საკითხი, შემოვიღოთ იქ ყარსის და ბათუმის ოლქში არსებულ სამხედრო გამგეობა-ადმინისტრაცია, თუ საერთო ხასიათის მმართველობა; ან და ქურთებისგან დაცლილი ადგილები მხოლოდ რუსის ტომით დავასახლოთ, თუ ამიერ კავკასიის უმიწო გლეხებს გარგუნოთ იგი, ამგვარად ეს ომი გაიერთიანებს სომხეთს კავკასიის საზღვრებში და მას საქართველოსავე შეეძლება კულტურულ ეროვნული და ეკონომიური აღორძინებისათვის ზრუნვა.

პოლიტიკური აღდგენის ოცნება კი სომხებმა საბოლოოდ უნდა მიივიწყონ და უტოპია რეალურად მისაღწევ ნაციონალურ მიზანს ანაცვალონ“.

ასეთია ბ ნ მაგისტრანტის წერილი; სჩანს მთლად გაკოტრებულა სომხური ავტონომია თუ თვით დოლუხანოვების გაზეთი უგალობს „სულთათანას“!. (სახ“.

---

## წერილი რედაქციის მ. მართ.

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთ „სამშობლოში“ დაგვიბეჭდოთ შემდეგი:

**უკანასკნელი პასუხი შორიდან მაყურებელ ნოქარს.**

შორიდგან მაყურებელმა ნოქარმა გაზეთ „ჩვენი მეგობრის“ ას-მეხუთე ნომერში კვლავ გამოიწვარდა ჩვენ წინააღმდეგ და გაიმეორა ის, რაც მას, მის წინანდელ წერილში უკვე ჰქონდა ნაჩვენები, და თან დასძინა: თუ ჩემი საზრუნველი ნოქარი მიქაბერიძე, მე ფეხში დაჭრილად ვაღვიარე და არა ხელში, ან უდა ლოვ-ვაგილოვთან ნამსახური იყო და არა თქვენთანო, მე ეს შეცდომით მომივიდაო! მეტი არც ჩვენ გვითქვამს არაფერი და ის მოგახსენეთ რომ თქვენი წერილის არგუმენტები ქუჩაში გაგონილ ჭორებზე დამყარებული და არა სინამდვილეზე, რაც თქვენ ეხლა დაადასტურეთ.

შემდეგ „შორიდგან მაყურებელი“ ნოქარი განმარტავს, თუ რას ჰქვია ცილის წამება და ფიცულობს თქვენთვის ცილი არ დამიწამებიაო თქვე დალოცვილო, თუ მეხსიერება არ გღალატობთ, თქვენი წინანდელი წერილი ავსებული იყო ცარიელი გაუშვეს, არაფერი მისცეს ერთი გვიბძანეთ, თუ არა ცილის წამება, სხვა რა უნდა უწოდოთ ამ სიტყვებს? ეს თქვენ ჩვენზე უკეთესად იცით, მაგრამ განგებ პანზე სიტყვას ჩვენ კი არა, თქვენ აგდებთ. თქვენ სამზრუნველო ნოქარ მიქაბერიძეს, რომ თავისი არ წაედო და რამე დაგვდებოდა, მაღაზიიდგან კეტით ვერ გავაგდებდით და თუ იგი ახლა ჩვენ რამეს გვედავება, ხომ მოგეხსენებათ, გადასახადს შეედავე და გამოდმა მაინც დაგჩებაო, ეს ანდაზა კი მან თქვენზე უკეთესად იცის. კერძოდ თქვენ, შორიდგან მაყურებელო ნოქარო, ამოფარებიხართ ჩინეთის კედელსა და იქიდგან გესვამთებით, ეს ვერაფერი ვაჟკაცობა არის! ხომ გთხოვეთ: მობძანდით და იმ თქვენი სამზრუნველო ნოქრის ანგარიში შეამოწმეთ და თუ რამე ერგება მიირთვითქო. თქვენზე უკეთესს იგი თავის ინტერესების დასაცავად ვის იშოვიდა? ამ წინადადების შემდეგ რა ზნეობრივი, აი იურდიული უფლება გქონდათ რომ ზემო აღნიშნული წერილი მოგვეთავსებიათ? მაგრამ თქვენ განა ანგარიშს უწევთ რამეს? თქვენი წერილის დანარჩენ ნაწილს უყურადღებოთ ვსტოვებთ და ამით ვათავებთ თქვენთან ყოველ გვარ კამათს ამ საკითხის შესახებ.

ნიკო კილასონია და მიხ. კაპანაძე.

---

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხან. „**სამშობლო**“



ეროვნული ბიბლიოთეკა

## რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 7 ს. 25 | წ |
| „ | — საღამ. | — 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დღისით | —12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. 20 | „ |
| ფოთიდან | — დილის | —10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს | — 6 ს. 50 | „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | —დილის | —11 ს. — | „ |
| „ | — ღამის | —12 ს. 15 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. 3 | „ |
| „ | — დილის | — 5 ს. 55 | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს. 8 | „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 6 ს. 20 | „ |
| შორაპნისაკენ | — დღით | — 5 ს. 20 | „ |

---


# ს უ ს უ ნ ა ტ ი.

ვისაც სურს ერთხელ და სამუდამოდ განიკურნოს ამ ავადმყოფობისაგან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება **სუსუნატის** წამლით პირველ ხარისხოვანი „**გონოზანით**“. ეს წამლით სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნატს. საშუალება **ნაცადია თბილისი**, **რუსეთისა** და **საზღვარგარეთელ ექიმებისა** და **პროფესორების** მიერ და აღიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნატის მოსარჩენად.

**ჩვენი გარანტია**: თუ თქვენთვის ეს საძნელო არ იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომელსაც გსურთ ექიმს ჩვენს აბებზე და ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და უებარი საშუალებაა ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზე და ქალებზეც. მაშ, ნუ ხარჯავთ დიდ ფულს უშედეგო წამლობაზე, რადგანაც 3 კოლოფი და ორი შუშის შესხაპუნებით, რომელიც წამალთან არის ერთად, სავსებით ჰკურნავს ავათმყოფს ამ მძიმე სენისაგან.

ერთი კოლოფი აბებისა ღირს 4მან. და 3 შუშა შესაშხაპუნებელი ღირს 9 მანეთი. სხვა ქალაქებში გაიზავნება 3 მანეთის მიღების შემდგომ. მიწერ-მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ **რ. შმიდტ, თბილისი**, თხინვალის ქუჩა № 12, მახლობივ გოლოვინის **პროსპექტისა** და მელავონის ქუჩის. Р. Шмитъ, Тифлисъ Тхинвальская ул, № 12, отд. 1 5—3


---


**მუშაოგს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ყორყოლაძეების სამკურნალო**

# ა ბ ა ნ ო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, ს ყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით. თ.


---


## საღი კუჭი!
# ჟელაგარი ექ. ვეზისა.

ახალი მეცნიერულათ შემზადებული პრეპარატი კუჭის ქრონიკულ უაზბობის, მოშლის, ნაწლევების, კატარის და საჭმლის გადამხარშველ ნაწილების სისუსტის წინააღმდეგ.

ქრონიკული უაზბობა წყაროა მთელი წყება კუჭ-ნაწლევების მოშლისა, პირის დებინებისა, სიმწვავისა, მუცლის ბერვისა, კუჭის ტკივილებისა, ნაწლევების კატარისა, გემოროისა, იწვევს სისხლის მოწამვლას, თავის ტკივილებს, მადის დაკარგვას, ცუდ გუნებას და საერთოდ მთელი ორგანიზმის მოშლა—დასუსტებას. უაზზობის წინააღმდეგ ჩვეულებრივ ხმარობენ საფაღარათო წამლებს, რომელიც არა თუ სპობს უაზზობას, პირიქით უფრო აძლიერებს მას.

პრეპარატი **ჟელაგარი** ექ. ვეზისა აქარწყლებს გაღიზვის მასსას, ასაღებს ნაწლევებს, აშორებს უღებობას და აჩვევს მას ნორმალურ მუშაობას და რადიკალურათ სპობს ჭვალს, ნაწლევების კატარს, მიგრენს და სხვა სისუსტეს, რომელიც გამოწვეულია უაზზობისაგან. **ჟელაგარი** სრულებით უვნებელი საშუალებაა სხეულისთვის და სრულებით ადვილი გადასატანია ავათმყოფობისაგანაც კი. პრეპარატ **ჟელაგარს** ხმარობენ განთქმული პროფესორები კუჭის ავათმყოფობის დროს და მოწონებულია როგორც უტყუარი და სარწმუნო საშუალება კუჭის ყოველგვარ ავათმყოფობისა და მისი შედეგებისათვის

დაწვრილებით ბროშურა კუჭის ავათმყოფობის შესახებ პირველ მოთხოვნილებისთანავე იგზავნება უფასოთ.

ნამდვილი **ჟელაგარი** ექ ვეზისა მზადდება საფრანგეთსა და რუსეთში. იყიდება „პრაკტიკულ მედიცინის ლაბორატორიის განყოფილებაში“ და ქუთაისში **ა პ შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩაზე, ქალაქის თეატრის პირდაპირ.

ჟელაგარის ერთი კოლოფი ღირს 3 მ., მოსარჩენათ საჭიროა 3—5 კოლოფი. 9 (წლიური)